IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

საინფორმაციო ბიულეტენი

ივლისი, 2017

დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახური - საქართველო და საერთაშორისო სტანდარტები

პოლიტიკის დოკუმენტის მიზანია, წარმოაჩინოს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სამსახურის შექმნის აუცილებლობა იმ ხარვეზების აღმოსაფხვრელად, რაც დღეისთვის არსებულ კორუფციასთან ბრძოლის სისტემაში გამოვლინდა. ამ საკითხზე საუბარი „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ“ ჯერ კიდევ 2014 წელს დაიწყო. თუმცა, საქართველოს ხელისუფლებამ განსხვავებული გზა აირჩია და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა სუს-ის ერთ-ერთ ფუნქციად განსაზღვრა. როგორც დოკუმენტში მოცემული ხარვეზების ანალიზი ცხადყოფს, ეს გადაწყვეტილება არაეფექტიანი აღმოჩნდა.

[იხილეთ მეტი]

კლიმატის ცვლილებისა და მისი ზეგავლენის წინააღმდეგ გადაუდებელი ზომების გატარება

კლიმატის ცვლილება თანამედროვეობის ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური გამოწვევაა.მისი ფენომენი შემჩნეული იქნა 20 საუკუნის 70 იანი წლებიდან , როდესაც დაფიქსირდა მსოფლიო საშუალო წლიური ტემპერატურის ზრდისა და გახშირებული კლიმატური კატასტროფების ტენდენცია . დღეისთვის, მეცნიერულად დადასტურებულია, რომ კლიმატის ცვლილება ხდება დედამიწის მასშტაბით. კლიმატის ცვლილების ზეგავლენა გამოიხატება მყინვარების და ყინულის ფენის დნობაში ოკეანეებში, ე.წ. „სითბური ტალღების“, გვალვების, ხოლო მეორე მხრივ, ძლიერი წვიმების, ოკეანის დონის აწევა, დატბორვების, წყალდიდობების, ღვარცოფების, მეწყერების, ზვავების, ცუნამების, სხვადასხვა ქარიშხლების გაძლიერებას და გახშირებას.

[იხილეთ მეტი]

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ადმინისტრაციული ხარჯები (2011-2016 წლები)

IDFI-მ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან 2015 წლის მარტს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის მიღება მხოლოდ 2017 წლის 16 ივნისში დავის სამივე ინსტანციის სასამართლოსა და იძულებითი აღსრულების პროცედურების დაწყების შემდეგ შეძლო.
რა შეუსაბამობაა სამინისტროს მიერ სხვადასხვა დროს მოწოდებულ ადმინისტრაციული ხარჯების შესახებ ინფორმაციას შორის? და რა ცდომილებაა იმჟამინდელი მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის დეკლარაციასა და სამინისტროს მიერ გაცემულ ინფორმაციაში?
იხილეთ მეტი

გენდერული თანასწორობის მიღწევა და ყველა ქალისა და გოგონას შესაძლებლობების გაუმჯობესება



საზოგადოებაში ქალის მდგომარეობა ყოველთვის იყო განსჯის საგანი. ისტორიაში, ფილოსოფიაში, საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში და სხვა. სხვადასხვანაირად აისახებოდა ეს პრობლემა და განსხვავებული დასკვნები გამოჰქონდათ. ქალის დანიშნულებაზე ოჯახსა და საზოგადოებაში, მის თანდაყოლილ თვისებებზე, ღირსებასა თუ ნაკლზე განსაკუთრებულ ყურადღებას რელიგიაც ამახვილებდა. ათასწლეულების განმავლობაში ქალი მოკლებული იყო საშუალებას სრულად გამოევლინა თავისი ინტელექტი. ქრისტიანობა გამუდმებით ემუქრებოდა ქალს ანათემაზე გადაცემით და მის დაქვემდებარებულ მდგომარეობას ამტკიცებდა. შუა საუკუნეებში ასეთი დამოკიდებულება კიდევ უფრო გამყარდა და ,,სუსტ სქესთან" ურთიერთობა ცოდვად შეირაცხა.
იხილეთ მეტი

IDFI-ის საჯარო დისკუსია - დიალოგი კერძო სექტორთან კანონპროექტების მომზადების დროს

2017 წლის 12 ივლისს IDFI- ის ორგანიზებით ჩატარდა საჯარო დისკუსია თემაზე - „კერძო და საჯარო სექტორებს შორის დიალოგის მნიშვნელობა კანონპროექტების მომზადების

ადრეულ ეტაპებზე“.

ღონისძიებას ესწრებოდა სახელმწიფო და კერძო დაწესებულებების 30-ზე მეტი წარმომადგენელი. მისი მიზანი იყო ცნობიერების ამაღლება კანონპროექტების შემუშავების დროს კერძო-საჯარო დიალოგის საჭიროებაზე.
[იხილეთ მეტი]

საიდან იწყება გენდერული უთანასწორობა?



სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ საქართველო ერთ-ერთ მოწინავე ადგილზეა სელექციური აბორტების თვალსაზრისით, რაც გენდერული ნიშნით სქესის შერჩევას გულისხმობს. კვლევების თანახმად 1990-2010 წლებში 25 ათას გოგონას წაართვეს სიცოცხლის უფლება. 2015 წელს გაეროს მოსახლეობის ფონდის მიერ ჩატარდა კვლევა, რომლის თანახმადაც სქესთა თანაფარდობა ახალშობილ ბავშვთა შორის იყო 110 ბიჭი 100 გოგოზე. ხშირ შემთხვევაში, გენდერულ უთანასწორობაზე საუბრისას აღნიშნავენ, თუ რა პრობლემები ექმნებათ ქალბატონებს განათლების, სოციალური ინტეგრაციის კუთხით, თუ სხვადასხვა უფლებრივი შეზღუდვის თვალსაზრისით. ბევრი ჩვენგანი გვერდს უვლის ერთ მნიშვნელოვან ფაქტს: გოგონებს, რომლებიც ჯერ არ მოვლენიან ამ ქვეყანას, რომლებსაც საერთოდ წარმოდგენა არ აქვთ იმაზე, თუ რა შეხედულებები და სტერეოტიპებია სამყაროში, უზღუდავენ სიცოცხლის უფლებას! თითოეული ჩვენგანი მიუხედავად სქესისა უნდა დაფიქრდეს, რამდენი სიხარული დაიკარგა ამ ყველაფრის გამო, რამდენი საამაყო შვილი და რამდენი ღირსეული დედა ვერ მოევლინა ქვეყანას. რა შედეგებს მივიღებთ თუ ასე გაგრძელდება (?!)... პრობლემის მოგვარება მისი გაცნობიერებით იწყება, ასე რომ, დროა თვალი გავუსწროთ იმ მწარე რეალობას, რომელშიც ვცხოვრობთ.
[იხილეთ მეტი]

განათლება - მდგრადი განვითარების მე-4 მიზანი

ქვეყნის, ისევე როგორც ცივილიზაციის ,,წარმატება გონებრივ განვითარებაზეა დამოკიდებული“ და ამიტომაც არ შემიძლია არ აღვნიშნო რამდენიმე დღის წინ მეტროში მომხდარი სასიამოვნო მოვლენა, როცა თბილისის მეტროს მგზავრებს საჩუქრად გადაეცათ წიგნები. ამ ღონისძიების მიზანი იყო წიგნის კითხის პოპულარიზაცია, რაც ესოდენ სჭირდება ქართველ ერს(და არა მარტო მას) ვირტუალურობიდან რეალობაში დასაბრუნებლად.
[იხილეთ მეტი]

ინკლუზიური და თანასწორი განათლების უზრუნველყოფა და უწყვეტი სწავლის შესაძლებლობის შექმნა ყველასთვის



საუკუნეების განმავლობაში განათლების მიღებისა და გაცემის კონცეფციამ მრავალი ფორმაცია განიცადა. თავდაპირველად, განათლების მიცემა ოჯახისა და ეკლესიის კომპეტენციას წარმოადგენდა. პირველ სასწავლო დაწესებულებას ძველ ეგვიპტეში ჩაეყარა საფუძველი. სკოლაში სწავლა და ცოდნის მიღება ელიტურობის უპირობო საზომს წარმოადგენდა. ამ ფაქტორის გამო, განათლების მიღება მხოლოდ უმაღლესი სოციალური ფენის წარმომადგენლებს შეეძლოთ. მხოლოდ მოგვიანებით, განმანათლებლობის პერიოდში , გახდა განათლების უფლების განხორციელება საზოგადოებრივი საზრუნავი.
იხილეთ მეტი

უქმე დღეები ევროპასა და საქართველოში

უკრაინის ეროვნული მეხსიერების ინსტიტუტის შემოთავაზებული კანონპროექტით, უკრაინაში არსებული 11 უქმე დღის 9-მდე შემცირება იგეგმება. უქმდება 1-2 მაისი, 8 მარტის მაგივრად, 9 მარტს შევჩენკოს დღე აღინიშნება, 9 მაისის მაგივრად კი დაგემილია 8 მაისს ხსოვნისა და შერიგების დღის დაწესება, ხოლო სულთმოფენობის შემდგომი ორშაბათის მაგივრად, სექტემბერში ოჯახის დღე აღინიშნება. ამ ვითარებაში უკრაინულმა ინტერნეტ პორტალმა Bird in Flight-მა გამოაქვეყნა სტატისტიკა თუ რამდენს ისვენებენ ევროპასა [1] და მსოფლიოში. IDFI-მ საინტერესოდ ჩათვალა ამ სტატისტიკის ქართული კონტექსტისთვის მისადაგება, მითუმეტეს საზოგადოებას ახსოვს სულ რამდენიმე თვის წინ გამართული დებატები, კიდევ ერთი უქმე დღის შემოღების თაობაზე.
იხილეთ მეტი

ქალაქების ინკლუზიური, უსაფრთხო და მდგრადი განვითარება და საქართველო

მისასალმებელია, რომ საქართველოში ბოლო წლებში მოიმატა ქალაქური პრობლემატიკით, ურბანისტული საკითხებით დაინტერესებული ადამიანებისა და ორგანიზაციების რაოდენობამ. თუმცა, პროფესიონალი ურბანისტებისა და ქალაქმგეგმარებლების რიცხვი ქვეყანაში მაინც მცირეა. გადაწყვეტილების მიმღები პირებისა და მმართველი რგოლის არაეფექტურობის გარდა, ჯანსაღ ქალაქგანვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის ინდიფერენტულობაც. ამ კონტექსტშია განსახილველია ,,ნიმბიზმის“ ფენომენი, რაც გამოხატავს ინგლისურენოვან აბრევიატურას - Not In My Back Yard (,,სადაც გინდა, რაც გინდა შენდებოდეს, მაგრამ ჩემს სახლთან არა“). საქართველოში გავრცელებულ ამ სინდრომზე საუბრობს ფილოსოფოსი მერაბ

მამარდაშვილი 90-იან წლებში, რომლის თქმით, ქართული საზოგადოების მზაობა თვითორგანიზებისთვის, საზოგადოებრივი სივრცის მართვისთვის თითქმის არ არსებობდა: ,,...თითოეული ცდილობს საკუთარი თავი გადაირჩინოს ნაცნობებითა და ნათესავებით სავსე განცალკევებულ ნავში. რისგან განცალკევებულში? რესპუბლიკისგან, respublica-სგან ანუ საერთო საქმისგან, საზოგადოებრივი სივრციდან...“.
იხილეთ მეტი

გზამკვლევი Facebook მომხმარებლებისთვის - პირადი უსაფრთხოების დაცვა

IDFI-მ სოციალურ ქსელ Facebook-ის მომხმარებლებისთვის სპეციალური გზამკვლევი შექმნა, რომელიც მათ პირადი უსაფრთხოების დაცვაში დაეხმარება.

გზამკვლევი მოიცავს როგორც მარტივ რჩევებს, ისე დეტალურ ინფორმაციას იმაზე, თუ როგორ უნდა შექმნათ ძლიერი პაროლი; მიიღოთ შეტყობინება ელფოსტაზე მაშინ, როდესაც თქვენს ანგარიშზე ახალი მოწყობილობიდან ხდება შესვლა; გაიაროთ უსაფრთხოების პერიოდული შემოწმება; და გამოიყენოთ ე.წ „უსაფრთხოების გასაღები“.

გზამკვლევი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს პირადი მონაცემების მართვაზე. მისი გამოყენებით, გაიგებთ, თუ როგორ უნდა დააღწიოთ თავი ონლაინ რეკლამებს და დაიცვათ პირადი მიმოწერის უსაფრთხოება.
იხილეთ მეტი